ნინო მაქაცარია
ეკონომიკის დოქტორი, ზსუ ასოცირებული პროფესორი

მთლიანი შიდა პროდუქტი და მისი ხელმისაწვდომობისკენ მიმართული პოლიტიკა: თეორიული ასპექტები

აბსტრაქტი

კვლევის მიზანს წარმოადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის, როგორც მაკროეკონომიკური მაჩვენებლის უკეთ გამოყენების მნიშვნელობა ცხოვრების დონის შესაფასებლად, თუ რამდენადაა პროპორციული მისი ზრდა საზოგადოების უმრავლესობის კეთილდღეობასთან. მასში ნაჩვენებია, რომ ორი ცვლადი – მშპ და ადამიანების ცხოვრების დონე ხშირად არც თუ იშვიათად სცდება ერთმანეთს და საჭიროა სხვა დეტერმინანტების გათვალისწინებაც. საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია ასევე მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით აიგოს ხიდი სტატისტიკური ინფორმაციის მწარმოებლებსა და მის მომხმარებლებს შორის.

კვლევის მეთოდად გამოყენებულია ზოგადმეცნიერული, თეორიული და ლოგიკური მსჯელობის მეთოდი, რითაც ვრწმუნდებით, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი, მართალია, ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვანი მახასიათებელია, მაგრამ ქვეყანაში უთანასწორობის ხარისხის ზრდასთან ერთად მისი ხელმისაწვდომობა ნაკლებია.

ეკონომიკური მაჩვენებლების სტატისტიკურ გაზომვასა და საზოგადოებაში მის აღქმას შორის განსხვავებას თავისი მიზეზი აქვს. ჩვენის აზრით, აქ უმთავრესია საზოგადოებაში უთანასწორობის ხარისხი. ამდენად, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი არ იძლევა ადამიანების უმეტესი ნაწილის ცხოვრების დონის სწორ შეფასებას. ამიტომაც მასთან ერთად ცხოვრების დონის სხვა ცვლადებიცაა გასათვალისწინებელი და აქ ჩვენის აზრით, უპირველესი მნიშვნელობისაა ქვეყანაში არსებული უთანაწორობის დონე. ამ მიზნით სტატიაში გამოყოფილის ორი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბერკეტი, როგორიცაა საგადასახადო პოლიტიკა, მინიმალური შემოსავლის გარანტიები/ მინიმალური ხელფასი/. კერძოდ, რეკომენდაციას ვუწევთ პროგრესულ საგადასახადო სისტემას და მინიმალური ხელფასის არსებობას ქვეყანაში, ვფიქრობთ, რომ ეს არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი შემოსავლების უთანასწორობის შერბილებისკენ და მაშინ შეიძლება მთლიანი შიდა პროდუქტი როგორც ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებელი, ამავე დროს უფრო რეალურად ასახავდეს მისი ზრდით გამოწვეულ კეთილდღეობას. ზემოთ აღნიშნული მიმართულებით ეკონომიკური პოლიტიკის აქცენტები გაზრდის მთლიანი შიდა პროდუქტის, როგორც მაკროეკონომიკური მაჩვენებლის ხელმისაწვდომობას.

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური მაჩვენებლები, შემოსავლების უთანასწორობა, მინიმალური ხელფასი, შემოსავლების გადანაწილება, კეთილდღეობა, საგადასახადო პოლიტიკა.*

Nino Makatsaria
Doctor of Economics, ZSU Associate Professor

GROSS DOMESTIC PRODUCT AND POLICIES ENSURING ITS ACCESSIBILITY: THEORETICAL ASPECTS

ABSTRACT

The article „Gross Domestic Product and Policies Ensuring Its Accessibility: Theoretical Aspects" seeks to highlight the importance of using Gross Domestic Product (GDP) as a macroeconomic indicator for assessing living standards, and to evaluate the extent to which GDP growth corresponds to the welfare of the majority of society. The study demonstrates that these two variables—GDP and living standards—frequently diverge, thus necessitating the consideration of additional determinants. An important task in this regard is to establish a link between the producers of statistical information and its users in relation to macroeconomic indicators.

The research methodologies are general scientific approaches, theoretical analysis, and logical reasoning which confirms that although GDP is a crucial measure of economic activity, its accessibility diminishes alongside rising inequality within a country. The divergence between the statistical measurement of economic indicators and their societal perception has specific causes. In our opinion inequality represents the most significant factor. Therefore, GDP per capita does not provide an accurate reflection of the living standards of most of the population. Accordingly, other variables of living standards must be considered, among which the degree of inequality in society has primary importance.

To this end, the article emphasizes two key economic instruments: tax policy and guarantees of minimum income (minimum wage). In particular, we recommend a progressive taxation system and the establishment of a minimum wage in the country. These instruments are regarded by us as essential tools for mitigating income inequality, thereby allowing GDP, as an indicator of economic activity, to reflect more accurately the welfare associated with its growth. Focusing on economic policy in this direction will enhance the accessibility and relevance of GDP as a macroeconomic indicator.

Keywords: *economic indicators, income inequality, minimum wage, income distribution, welfare, tax policy*

ეკონომიკურ თეორიაში დისკუსიის საგანია ის, თუ რამდენად არის არის მთლიანი შიდა პროდუქტი ცხოვრების დონის სრულყოფილი მაჩვენებელი, რამდენად პროპორციულია ერთ სულ მოსახლეზე მისი ზრდა ადამიანთა უმრავლესობის კეთილდღეობასთან, ან პირიქით. დიდი ხანია ნათელია, რომ მშპ არასაკმარისი მაჩვენებელია ცხოვრების დონის შესაფასებლად. ამდენად, საჭიროა ამ საზომის შესაბამისი გამოყენების უკეთ გაგება. თუ უთანასწორობა სერიოზულად იზრდება ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ მშპ-ს ზრდასთან შედარებით ადამიანების უმეტესობა შეიძლება უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდეს მიუხედავად იმისა, რომ საშუალო შემოსავალი იზრდება. ხშირად ამ განსხვავებების გამო შერყეულია ოფიციალური სტატისტიკისადმი საზოგადოების ნდობა. აღსანიშნავია, რომ 2008 წელს საფრანგეთის პრეზიდენტმა, რომელიც რეალობის აღსაქმელად ხშირად არასაკმარისად თვლიდა ეკონომიკისა და საზოგადოების შესახებ სტატისტიკურ ინფორმაციას, მოითხოვა კომისიი შექმნა, რომლსაც მიზნად უნდა დაესახა მშპ-ს ალტერნატიული საზომის მიზანშეწონილობა, მისი გაზომვის პრობლემების დადგენა. ასევე იმის განხილვა, თუ რა დამატებითი ინფორმაცია შეიძლებოდა ყოფილიყო საჭირო სოციალური პროგრესისთვის უფრო შესაბამისი ინდიკატორების წარმოებისთვის (1) შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული კომისია წარმოდგენილი იყო სპეციალიზაციის ფართო სპექტრით, დაწყებული ეროვნული აღრიცხვიდან, დამთავრებული კლიმატის ცვლილებებით. ჩატარდა კვლევა სოციალური კაპიტალის, ბედნიერების, ჯანმრთელობის, ფსიქიკური კეთილდღეობის და სხვ შესახებ. აღნიშნული კომისიის მიერ წარმოდგენილი ანგარიში დაიდო მნიშვნელოვანი დოკუმენტის სახით, რომელიც განიხილავს რა მშპ-ს ამ კონტექსტში, რეკომენდაციას იძლევა ცხოვრების ღირებულების რეალურ საზომად გამოყენებულ იქნეს რაიმე ალტერნატიული მაჩვენებელიც.

სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების სტატისტიკურ გაზომვასა და იმავე საზოგადოებაში ფენომენის აღქმას შორის განსხვავებას შესაძლოა რამდენიმე ახსნა ჰქონდეს. როცა საზოგადოებაში მაღალია უთანასწორობა, მშპ ერთ სულ მოსახლეზე ან რომელიმე სხვა მაჩვენებელიც არ იძლევა იმ სიტუაციის ზუსტ შეფასებას, რომელშიც იმყოფება ადამიანთა უმრავლესობა. მშპ-ს მნიშვნელოვანი ადგილი და როლი ენიჭება მთელი რიგი მაკროეკონომიკური საკითხების გაგებასა თუ ახსნაში , მაგრამ საჭიროა ასევე ამ საზომის შესაბამისი გამოყენების უკეთ გაგება. უბრალოდ, ის ადამიანთა ცხოვრების შეფასებისთვის არასწორად გამოიყენება, თუ მასთან ერთად ცხოვრების დონის სხვა ცვლადები არ არის გათვალისწინებული.

პოლიტიკის შემქმნელებს სჭირდებათ უკეთ გაიგონ, თუ რომელი ინდიკატორია ხელმისაწვდომი და სასარგებლო კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და სოციალური პროგრესის ხელშემწყობი პოლიტიკის განსახორციელებლად. მშპ-ს გაანგარიშებისთვის არსებობს საერთაშორისო სტანდარტები, თუმცა მშპ ძირითადად საბაზრო წარმოებას ზომავს, მაგრამ ხშირად ეკონომიკური კეთილდღეობის საზომადაც განიხილება, ეკონომიკური კეთილდღეობისა და მშპ-ს აღრევამ შეიძლება გამოიწვიოს

არასწორი პოლიტიკური გადაწყვეტილებები. ვინაიდან წმინდა ეროვნული შემოსავალი, რეალური ოჯახების შემოსავალი და მოხმარება უფრო ასახავს ცხოვრების დონეს. ესეც საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან საშუალო შემოსავალი, მოხმარება და სიმდიდრე მნიშვნელოვანი სტატისტიკური მონაცემებია, თუმცა არასაკმარისი, ვინაიდან საშუალო შემოსავლის ზრდა შეიძლება არათანაბრად გადანაწილდეს საზოგადოების წევრებს შორის, ამდენად, სრულყოფილი ანალიზისთვის შემოსავლის, სიმდიდრის და მოხმარების საშუალო მაჩვენებლებთან ერთად გვჭირდება მათი გადანაწილების ინდიკატორები. მაგ. ადამიანის განვითარების ინდექსი. რეალური შემოსავალი და რეალური მოხმარება ადამიანების კეთილდღეობის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია. სტატისტიკოსებისთვის დიდი გამოწვევაა ხარისხის ცვლილების სწორად ასახვა, მისი არასათანადო შეფასება ინფლაციის მაჩვენებლის არასწორ შეფასებაზე აისახება. თუ პოლიტიკოსებს სურთ გაიგონ რეალურად უკეთესად ცხოვრობენ თუ არა მისი მოქალაქეები, ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მშპ. შეიძლება დასახელდეს მშპ-ს, როგორც ცხოვრების დონის ინდიკატორის ზოგიერთი ნაკლოვანების მოგვარების რამდენიმე გზა. ჯერ ერთი, მასთან ერთად გასათვალისწინებელია ეროვნულ ანგრიშებში დამკვიდრებული სხვა აგრეგატების გათვალისწინებაც, არასაბაზრო ეკონომიკური აქტივობების შეფასების გაუმჯობესება, ვინაიდან მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ბაზრების გარეთაც ხდება და ეროვნულ ანგარიშებს მიღმა რჩება. მაგ. საკუთარ სახლში ცხოვრებისგან არ ხდება საბაზრო ტრანსაქცია და არც გადახდა, მაგრამ ეროვნული ანგარიშები ისე აისახება, თითქოს სახლის მესაკუთრეები საკუთარ თავს ქირას უხდიან. ამიტომაც, თუ ორი ადამიანი ერთნაირ ფულად შემოსავალს იღებს, მაგრამ ერთი მათგანი საკუთარ სახლში ცხოვრობს, ხოლო მეორე ქირით, ისინი თანაბარ კეთილდღეობაში ცხოვრობენ. ზოგადად, აღრიცხვის მაჩვენებლები არ უნდა იყოს დამოკიდებული ქვეყნის ინსტიტუციურ მოწყობაზე, მაგ. თუ იგივე სამედიცინო მომსახურებას უზრუნველყოფს ერთ შემთხვევაში საჯარო სექტორი და მეორე შემთხვევაში კერძო სექტორი წარმოების საერთო საზომებზე გავლენას არ უნდა ახდენდეს.

შემოსავლის ნაკადები ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი საზომია, მაგრამ საბოლოოდ უფრო ადამიანების ცხოვრების დონის შესაფასებლად რეალურია მოხმარება და მოხმარების ხელმისაწვდომობა.

ეროვნული შემოსავალი, რომელიც წარმოადგენს დროის გარკვეულ პერიოდში ქვეყანაში წარმოებული ყველა საქონლისა და მომსახურების საბაზრო ჯამურ ღირებულებას, გამოიყენება სხვადასხვა მიზნებისთვის. ძირითადად, ესაა უმთავრესი მახასიათებელი ქვეყნის ეკონომიკის, ეკონომიკური ზრდის ტენდენციების შეფასებისა თუ ანალიზისთვის; ის გამოიყენება სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვაში, რაც უფრო მაღალია ეროვნული შემოსავალი, მით მეტია ბიუჯეტში შემოსულობები და შესაბამისად, რესურსები მთელი რიგი საზოგადოებრივი საჭიროებების დასაფინანსებლად. ის ხელს უწყობს ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებების ფორმირებასა

და მისი ინსტრუმენტების რეალიზებას, სოციალური დაცვის პოლიტიკის დანერგვას სოციალური უთანასწორობის შერბილების მიმართულებით. ეროვნული შემოსავლის ცვლილებები აისახება ისეთ მაკროეკონომიკურ ცვლადებზე, როგორიცაა ინფლაცია, უმუშევრობა. მაგალითად, ეროვნულ შემოსავალში ცვლილება გავლენას ახდენს ინფლაციის დონეზე, მისი გაზრდა შეიძლება დაუკავშირდეს ფასების მატებას, ხოლო თუ ეროვნული შემოსავალი მცირდება, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს უმუშევრობის ზრდას.

ამდენად, ეროვნული შემოსავალი დღეისათვის შესაძლებელია მივიჩნიოთ უმთავრეს ინსტრუმენტად ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის რეგულირებისთვის, მსოფლიოში სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკის შესადარებლად. თუმცა რეალურია კითხვა – არის თუ არა ეროვნული შემოსავალი ცხოვრების დონის სრულყოფილი მაჩვენებელი? – ეს ასე არ არის, ამიტომაც, თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში აღიარებულია ცხოვრების ხარისხისა თუ დონის არაერთი ცვლადი როგორიცაა სოციალური, ეკონომიკური და ასევე გარემოსდაცვითი პარამეტრები, კერძოდ, ესაა – ჯანმრთელობა, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, განათლება, შემოსავალი, სიღარიბის დონე, დასაქმება, სუფთა წყლის ხელმისაწვდომობა, თავისუფალი დრო და სხვ. თუმცა, უფრო რეალურია გაზომვადი/ ფიზიკური მახასიათებლები. ზოგადად, მეტი ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე თითოეული მოქალაქისთვის ასოცირდება მეტ კეთილდღეობასთან. მართალია, ეროვნული შემოსავალი ერთ სულზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებელია, მაგრამ მხოლოდ ამით ვერ შეფასდება ადამიანის ცხოვრების დონე. მასთან ერთად გასათვალისწინებელია ის, რომ მიუხედავად მაღალი ეროვნული შემოსავლისა შეიძლება ყველა მოქალაქე თანაბრად ვერ სარგებლობდეს ამ რესურსით. ეროვნული შემოსავალი სრულად ვერ აღწერს ადამიანის კეთილდღეობას, რადგან ის მხოლოდ ეკონომიკური აქტივობის მახასიათებელია. მან შეიძლება უჩვენოს, რომ ქვეყანა ეკონომიკურად ძლიერია, მაგრამ თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ საზოგადოების ყველა წევრს სულ ცოტა მცირედი განსხვავებით მაინც მიუწვდება ხელი ეკონომიკური თუ სოციალური სიკეთისთვის. ამდენად, ეროვნული შემოსავალი, როგორც ეკონომიკური მაჩვენებელი ასახავს ეკონომიკის ეკონომიკის ზოგად ზომას/ მდგომარეობას და არა ცალკეული ადამიანების ცხოვრების რეალურ დონეს, რამდენადაც ის არ ითვალისწინებს შემოსავლების განაწილებას და ასევე სხვა ზემოთაღნიშნულ მახასიათებლებს. ეროვნული შემოსავალი, როგორც მაკროეკონომიკური მაჩვენებელი სულ უფრო შორდება საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობის მახასიათებელს, თუ მისი უმეტესი ნაწილის კონცენტრაცია ხდება საზოგადოების მცირე ნაწილის ხელში. ეროვნული შემოსავალი მთელი ქვეყნის ეკონომიკურ სიმდიდრეს წარმოადგენს, თუმცა ის არ აფასებს რამდენად ხელმისაწვდომია ის საზოგადოების წევრებისთვის. ეროვნული შემოსავლის, როგორც უფრო რეალური და ჰუმანური მაჩვენებლის რანგში აყვანა უკავშირდება უთანასწორობის პრობლემას, რომლის შეფასებისთვის გამო-

იყენება ჯინის კოეფიციენტი. გარდა ამისა, ევროპულ საბაზრო სისტემაში უმდიდრეს და უღარიბეს ფენებს შორის შემოსავლების განსხვავების საზომად მნიშვნელოვანი ინდიკატორია S80/S20 შეფარდება, სადაც შედარებულია მოსახლეობის უმდიდრესი 20 %-ისა და უღარიბესი 20%-ის საშუალო შემოსავალი. 2023 წლის მონაცემებით, ეს შეფარდება ევროკავშირის ქვეყნებში შეადგენს დაახლოებით 4,5-დან 5,0- მდე, რაც ნიშნავს, რომ უმდიდრესი 20% საშუალოდ 4,5-5.0 ჯერ მეტ შემოსავალს იღებს, ვიდრე უღარიბესი 20%.

მთელ რიგ ქვეყნებში (ფინეთი, შვედეთი) საგადასახადო და სოციალური ტრანსფერების სისტემა განაპირობებს მოსახლეობის დაბალი შემოსავლების შევსებას მძლავრი სოციალური პოლიტიკით, მდგრადი მინიმალური ხელფასის არსებობით, განათლებისა და ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობით და ა.შ. ამიტომაც ასეთ ქვეყნებში ეროვნული შემოსავალი საზოგადოების უმრავლესობის ცხოვრების დონის შესაფასებლად უფრო რეალური მაჩვენებელია.

როგორ შეიძლება ეკონომიკა მოვაწყოთ ისე, რომ მშპ და ეროვნული შემოსავლის ცვლილება პროპორციულად ასახავდეს ნებისმიერი ადამიანის ან სულ მცირე მოსახლეობის უმრავლესობის რეალური ცხოვრების დონეს, რომ ის არ იყოს საშუალოდ, თუ ნომინალურად მიღებული მაჩვენებელი. ეს კი აშკარად უკავშირდება საზოგადოებაში შემოსავლების განაწილებისა და გადანაწილების ბერკეტებს, როგორიცაა საგადასახადო სისტემა თუ ფისკალური პოლიტიკა, ცვლილებები შრომის კანონმდებლობაში მინიმალური ხელფასის გათვალისწინებით. ცხოვრების დონის ევროპული სტანდარტები, რომელიც შორსაა საზოგადოებაში მდიდარი უმცირესობისა და ღარიბი უმრავლესობის არსებობისგან აგებულია სწორედ შემოსავლების გადანაწილების შესაბამის მოდელებზე. ეროვნული შემოსავალი უფრო რეალური გახდება, თუ მასში გათვალისწინებული იქნება სიღარიბის შემცირება და ცხოვრების მაღალი ხარისხი თითოეული ადამიანისთვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ჯგუფების მხარდაჭერას, რომელიც გამოიხატება სამუშაო ადგილების შექმნაში, მინიმალური შემოსავლის გარანტიებში/ მინიმალური ხელფასი/, სოციალურ დახმარებებში და სხვ.

აღნიშნულიდან გამოვყოფთ ყველაზე არსებით ეკონომიკურ ბერკეტებს, საგადასახადო სისტემას და მინიმალური შემოსავლის გარანტიებს, როგორც მთლიანი შიდა პროდუქტის ხელმისაწვდომობის გაზრდისკენ მიმართული პოლიტიკის ინსტრუმენტებს. რაც შეეხება საგადასახადო სისტემას, უნდა ითქვას რომ გადასახადები და სამართლიანობა ეკონომიკურ ლიტერატურაში და საზოგადოებრივ პოლიტიკაში ხშირად განხილვის აქტუალური თემაა. ის შეიძლება განხილული იქნეს, როგორც ეროვნული შემოსავლის „გაჰუმანურების“ ერთ-ერთ ბერკეტი. ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავალი გადასახადებთან რამდენიმე გზითაა დაკავშირებული. ორივე მათგანი ქვეყნის ფინანსური პოლიტიკის ინდიკატორია. მაღალი გადასახადების დროს მცირდება ხარჯვის სურვილი, რაც თავის მხრივ იმოქმედებს ეკონომიკურ

ზრდაზე. საგადასახადო პოლიტიკა და სწორად აგებული საგადასახადო სისტემა განსაკუთრებულ როლს ასრულებს საბაზრო ეკონომიკაში. ამ მექანიზმს სახელმწიფო იყენებს, როგორც ეკონომიკური რეგულირების მნიშვნელოვან ბერკეტს, ის საშუალებას აძლევს სახელმწიფოს დაგეგმოს, გააკონტროლოს და დაარეგულიროს ყველა დონეზე სუბიექტების შემოსავლები და ხარჯები. საგადასახადო სისტემის ეფექტურობა დაკავშირებულია ოპტიმალურ საგადასახადო პოლიტიკასთან, რომელიც ქმნის შესაბამის ბიზნეს გარემოს. ამავე დროს, საგადასახადო პოლიტიკა სცილდება წმინდა ფინანსურ სფეროს და არის სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე, მათ შორის ძირითად-სოციალურ ასპექტებზე (3).

შემოსავლების გადანაწილება სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა, მისი მიზანია საზოგადოებაში უთანასწორობის დონის შემცირება, სამომხმარებლო მოთხოვნის გაზრდა და ამ გზით ეკონომიკური თუ სოციალური სტაბილურობის ხელშეწყობა. ამ თვალსაზრისით ჩვენთვის ცნობილი საგადასახადო მოდელები შეიძლება განვიხილოთ ასევე როგორც სოციალურ ბერკეტები. კერძოდ, პროგრესული საგადასახადო სისტემა მიგვაჩნია მნიშვნელოვან სისტემად. მისი მთავარი მახასიათებლებია: რაც მეტია გადასახადი, მით უფრო მეტია საგადასახადო ტვირთი; შესაბამისად, ეს ხელს უწყობს სოციალური უთანასწორობის შემცირებას, რამდენადაც დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებს უწევთ გადასახადის სახით ნაკლები თანხების გადახდა. აღნიშნული საგადასახადო სისტემა ეკონომიკის სტაბილიზაციის ბერკეტია და ეკონომიკური კრიზისების დროს ის გვევლინება ავტომატური სტაბილიზატორის როლში, რამდენადაც შემოსავლების შემცირებასთან ერთად გადასახადების შემცირებით სამომხმარებლო მოთხოვნა გარკვეულწილად ნარჩუნდება.

ევროპის არა ერთ ქვეყანაში, რომლებიც გამოირჩევიან ცხოვრების მაღალი ხარისხით, გვხვდება პროგრესული საგადასახადო სისტემა. ესენია: შვედეთი, გერმანია, დანია, ნორვეგია და სხვ. ამ ქვეყნებში არსებული მყარი სოციალური დაცვის სისტემა დიდწილად უკავშირდება შესაბამის საგადასახადო მოდელებს. სამართლიანობის ასპექტი უკავშირდება ამა თუ იმ საგადასახადო სისტემებს. საქართველოში საგადასახადო სისტემა პროპორციულია, რაც იმას ნიშნავს, მაღალი და დაბალი შემოსავლის მქონე ერთი და იმავე პროცენტით იხდის გადასახადს, ანუ ძირითადად გადასახადების ფიქსირებული განაკვეთებია, განურჩევლად შემოსავლის ოდენობისა. ეს ითვლება ბიზნესზე ორიენტირებულად, რომ სტიმული მისცეს საზოგადოებაში ბიზნესის კეთებას.

საჭიროა შევუდაროთ ერთმანეთს სტიმულები – ერთი, რომელიც დაკავშირებულია მაღალშემოსავლიანი ბიზნესის მეტ დაბეგვრასთან და მეორეს მხრივ -ხარჯვის სტიმული. დანახარჯი – ეფექტიანობის ანალიზი გულისხმობს განვიხილოთ ზღვრული სარგებლიანობა, რასაც საზოგადოება და ეკონომიკა იღებს ამა თუ იმ საგადასახადო სისტემის არსებობით. სახელმწიფოს შეუძლია ისე დააწესოს გადასახადები,

რომ სულ ცოტა არ შეამციროს მაინც საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობა. როგორც ვიცით, მაღალი შემოსავლის მქონე ადამიანებისთვის ერთსა და იმავე თანხის რაოდენობას უფრო ნაკლები ზღვრული სარგებლიანობა გააჩნია, ვიდრე იგივე თანხას დაბალი შემოსავლის მქონეთათვის. პენსიონერისთვის ერთი ლარი უფრო ღირებულია, ვიდრე მოსახლეობის აქტიური ფენისთვის. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ სამართლიანობასა და ეფექტიანობას შორის პრიორიტეტი უნდა შეირჩეს პირველის სასარგებლოდ, რასაც მეტი შედეგი მოჰყვება გრძელვადიან პერიოდში. შესაბამისად, როდესაც ქვეყანაში მაღალი შემოსავალი უფრო მეტად იბეგრება – ეს მიგვაჩნია არა მხოლოდ უფრო სამართლიანი მიდგომა, არამედ ამასთანავე ეკონომიკურად რაციონალური პოლიტიკა.

2024 წლიდან მსოფლიოში პირადი საგადასახადო გადასახადის შემცირება „კოვიდ-19-ის“ პანდემიის შემდგომდროინდელი ეკონომიკური აღდგენისა და ოჯახების შემოსავლების გაზრდის მხარდაჭერის ინსტრუმენტია. შემოსავლების გადანაწილების მიმართულებით მნიშვნელოვანია საგადასახადო ტვირთის დიფერენცირება სხვადასხვა შემოსავლის მქონე პირებზე. 2024 წლიდან დანიის მთავრობამ ფართომასშტაბიანი საგადასახადო რეფორმა განახორციელა პირადი საშემოსავლო გადასახადის მიმართულებით, რომელთა შორისაა საშუალო შემოსავლის ახალი საგადასახადო განაკვეთის შემოღება გარკვეული შემოსავლის მქონე ჯგუფისთვის უმაღლესი საგადასახადო განაკვეთის 15%-იანი განახევრებით, რითაც ზღვრული გადასახადის განაკვეთი შეუმცირდა გადასახადის გადამხდელთა 6 %-ს. პირადი საშემოსავლო გადასახადის რეფორმა მოიცავდა ასევე უმაღლესი ზღვრული განაკვეთის გაზრდას 4,5 $-ით, რაც ძალაში შედის 2026 წლიდან (1). მსგავსი რეფორმების მიზანი ასვე სხვა ქვეყნებშიც/ ესტონეთი და სხვ/ შემოსავლების გაზრდასთან ერთად, იყო ასევე საგადასახადო სისტემის პროგრესულობის გაძლიერება, დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე პირებზე ტვირთის შემცირება. იტალიამ გააერთიანა რა საგადასახადო განაკვეთები ოთხიდან სამამდე, ამით შეინარჩუნა დაბალი განაკვეთი საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახების მხარდასაჭერად. პირადი საშემოსავლო გადასახადის შემცირება კვლავ ეკონომიკური აღდგენისა და ოჯახების შემოსავლების მხარდაჭერის ინსტრუმენტად რჩება. ამდენად, ქვეყანაში საშუალოდ 1 სულ მოსახლეზე გაანგარიშებული ეკონომიკური ცვლადები გარკვეულწილად ასახავს ცხოვრების დონეს, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ და არასრულყოფილად. ისინი გვიჩვენებს, თუ რამდენად იზრდება ეკონომიკა. ამის მიზეზია შემოსავლების უთანასწორობა, ფასები და ცხოვრების ღირებულება, სოციალური სარგებელი და სერვისების ხელმისაწვდომობა.

ზემოთ აღნიშნული ასპექტით, გარდა პროგრესული საგადასახადო სისტემისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია მინიმალური შემოსავლის გარანტიების არსებობა. მსოფლიოში დაქირავებული მუშაკების უმრავლესობა კანონიერად არის დაცული მინიმალური ხელფასის შესახებ კანონმდებლობით. ამ თვალსაზრისით, მინიმალური ხელფასის კანონის აქვს სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური კონტექსტი.

ის უზრუნველყოფს ღარიბი მოსახლეობის დაცულობას, რომ მათ მიიღონ ღირსეული ანაზღაურება, ამცირებს შემოსავლების უთანაბრობის ხარისხს, შესაბამისად ხელს უწყობს საზოგადოების სოციალურ სტაბილურობას, იზრდება მოსახლეობის სამომხმარებლო მოთხოვნა და ეკონომიკური სტიმულები. ღირსეული მინიმალური ხელფასი ასტიმულირებს შრომის ბაზარს იქიდან გამომდინარე, რომ ლეგალური სამუშაოს მსურველთა რაოდენობა იზრდება. ყოველივე ეს კი საბოლოოდ ზრდის ბიუჯეტში შემოსავლების წილს, რამდენადაც ამცირებს სახელმწიფოს ხარჯებს, რომელიც ხმარდება საზოგადოების მოწყვლად სოციალურ დახმარებებს.

მინიმალური ხელფასი არის თანხა რომელიც უნდა გადაეცეს ქვეყნის მუშაკთა უმრავლესობას, როგორც წესი საათობრივად, დღიურად ან ყოველთვიურად, ის იდეალურ შემთხვევაში განისაზღვრება ისე, რომ დაფაროს მუშაკისა და მისი ოჯახის მინიმალური საჭიროებები, არსებული ეროვნული, ეკონომიკური და სოციალური პირობების გათვასლისწინებით. მსოფლიოში საშუალო მინიმალური ხელფასი თვეში 213 აშშ დოლარია ან დღეში 7 აშშ დოლარი. ქვეყნების 50%-ში მინიმალური ხელფასი ამ მაჩვენებელზე დაბალია (2). ქვეყნების დიდ უმრავლესობაში კანონმდებლობა განსაზღვრავს სხვადასხვა კრიტერიუმებს, რომელიც გაითვალისწინება მისი გადახედვისა და კორექტირებისთვის. ძირითადად გამოიყენება ორი სახის კრიტერიუმი სოციალური და ეკონომიკური. ქვეყნების უმრავლესობაში (60%) არსებული კანონმდებლობა გაითვალისწინება მინიმალური ხელფასის განაკვეთების კორექტირების სიხშირეს. ზოგჯერ ის რეგულირდება სამომხმარებლო ფასების ზრდის შესაბამისად, თუმცა მინიმალურმა ხელფასმა შეიძლება გამოიწვიოს ინფლაცია, თუ ის მორგებულია სამომხმარებლო ფასების ზრდაზე და ეს გავლენას ახდენს ზოგადად ხელფასებზე, ამიტომაც იშვიათად თუ ხდება მისი რეგულირება სამომხმარებლო ფასების ინდექსის შესაბამისად მაღალი ინფლაციის დროს, მაგრამ მინიმალური ხელფასი არასდროს არაა ინფლაციის ძირითადი წყარო.

მინიმალური ხელფასი ხშირად განიხილება, როგორც სოციალური პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს როგორც სიღარიბის, ასევე სოციალური დახმარების მიღების შემცირებას. კანონით დადგენილი მინიმალური ხელფასი ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში პოპულარული პოლიტიკური ინსტრუმენტი გახდა. ისტორიულად, მინიმალური ხელფასი მე-20 საუკუნის დასაწყისში დაწესდა, როგორც პოლიტიკის პაკეტების ნაწილი, რათა დაეცვათ მუშაკები არახელსაყრელი სამუშაო პირობებისგან, მათ შორის ზედმეტი სამუშაო საათებისგან, არაჰიგიენური სამუშაო ადგილებისგან და ზედმეტად დაბალი ანაზღაურებისგან და ხელფასებისაგან.

მინიმალური ხელფასის კრიტიკოსების აზრით, ის ამცირებს ქვეყანაში დასაქმების დონეს. ეს მცირედი უარყოფითი ეფექტი საჭიროა დაბალანსდეს მის დადებით ეფექტთან -დაბალი ხელფასების ზრდის კვალობაზე მოხმარების ზრდასთან. მინიმალური ხელფასი დადებით გავლენას ახდენს უთანასწორობის შემცირებაზე. მინი-

მალური ხელფასის ზრდას უფრო მეტი სარგებელი მოაქვს ღარიბი ოჯახებისთვის. ზოგადად, აღნიშნული კანონის მიზანია დასაქმებულებისთვის სამართლიანი ანაზღაურების უზრუნველყოფა, სიღარიბის შემცირება, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს იმას, რომ მშპ უფრო რეალურად ასახავდეს საზოგადოების ყველა წევრის ცხოვრების დონეს.

მინიმალური ხელფასის კანონს აქვს სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური კონტექსტი. ის უზრუნველყოფს ღარიბი მოსახლეობის დაცულობას, რომ მათ მიიღონ ღირსეული ანაზღაურება, ამცირებს შემოსავლების უთანაბრობის ხარისხს. შესაბამისად, ხელს უწყობს საზოგადოების სოციალურ სტაბილურობას, იზრდება მოსახლეობის სამომხმარებლო მოთხოვნა და ეკონომიკური სტიმულები. ღირსეული მინიმალური ხელფასი ასტიმულირებს შრომის ბაზარს, რამდენადაც ლეგალური სამუშაოს მსურველთა რაოდენობა იზრდება, მცირდება სახელმწიფო ხარჯები, რომელიც ხმარდება საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფის სოციალურ დახმარებებს.

ევროპის უმეტეს ქვეყანაში არსებობს მინიმალური ხელფასის კანონი. ის კანონმდებლობითაა განსაზღვრული და დარეგულირებულია შესაბამისი კანონებით, ხოლო იქ სადაც არ არის აღნიშნული კანონი (დანია, იტალია, ავსტრია, ფინეთი, შვედეთი), ის განისაზღვრება ინდივიდუალური ხელშეკრულებებით ან კოლექტიური მოლაპარაკებებით. საქართველოში დღეისათვის მინიმალური ხელფასის კანონის არარსებობის პირობებში დასაქმებულთა ანაზღაურება განისაზღვრება საბაზრო მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისად. აქ მინიმალური ხელფასის ოდენობა ხშირად ვერ უზრუნველყოფს დასაქმებულების ღირსეული ცხოვრების დონეს და საერთოდ მოწყვეტილია ეკონომიკური რეალობისგან. თუმცა, წლებია მიმდინარეობს აქტიური დისკუსია სოციალური პოლიტიკის გაძლიერების მიმართულებით ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში. ამ საკითხში საჭიროა ცვლილება საკანონმდებლო დონეზე. ქვეყანაში კანონის დონეზე უნდა იქნეს აღიარებული მინიმალური ხელფასის და ამასთანავე ღირსეული ანაზღაურების ცნება. მინიმალური ხელფასის კანონის არქონა საქართველოში ქმნის ეკონომიკურ და სოციალურ გამოწვევებს. პროფკავშირების ინიციატივა მინიმალური ხელფასის დონის გაზრდის შესახებ მიზნად ისახავს დასაქმებულთა სოციალურ მდგომარეობის გაუმჯობესებას. თუმცა, ეკონომისტების შეხედულებით, აუცილებელია ამ პროცესის ეტაპობრივად განხორციელება, რათა თავიდან იქნას აცილებული შესაძლო უარყოფითი შედეგები, ძირითადად, უმუშევრობის ზრდა. ჩვენი აზრით, იმისთვის რომ საქართველოში დასაქმებულებს ჰქონდეთ ღირსეული ცხოვრების პირობები საჭიროა მინიმალური ხელფასის კანონის შემოღება. მინიმალური ხელფასი უზრუნველყოფს ქვეყანაში დასაქმებულების სოციალურ დაცულობას, ღარიბთა ცხოვრების დონის გაუმჯობესებას და ქვეყანაში სიღარიბის შემცირებას, სამომხმარებლო მოთხოვნის ზრდას და ეკონომიკური სტაბილურობის ხელშეწყობას. ის დაიცავს დასაქმებულებს ექსპლუატაციისგან, რომელიც უკავშირდება დაბალანაზღაურებად სექტორებში სრულიად

არარელევანტურ ანაზღაურებას. აღსანიშნავია ასევე გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიმართულებით ამ კანონის შემოღება, რამდენადაც ქალები ხშირად დასაქმებული არიან დაბალანაზღაურებად სექტორებში. თუმცა ამასთანავე უნდა აღინიშნოს რისკები, რაც შეიძლება მას ახლდეს, ძირითადად, ესაა მინიმალური ხელფასის ზრდით გამოწვეული დასაქმების ან ინფლაციის რისკი. მიუხედავად ამისა, დანახარჯი-ეფექტიანობის ასპექტით მინიმალური ხელფასის კანონის შემოღება საქართველოში მაინც მნიშვნელოვანია. ის ხელს შეუწყობს სოციალურ სამართლიანობას და ეკონომიკურ სტაბილურობას. თუმცა, აღნიშნული მიმართულებით ცვლილებებისას მაქსიმალურად უნდა იყოს გააზრებული დასაქმებულთა, დამსაქმებელთა და საერთოდ, საზოგადოების ინტერესები. დღეისათვის ევროპის წევრი სახელმწიფოებიდან 22-ს აქვს ეროვნული მინიმალური ხელფასი. აშშ-ში მინიმალური ხელფასის უზრუნველყოფს დასაქმებულთა მინიმალურ ანაზღაურებას, თუმცა შტატების განსხვავებული კანონმდებლობა და ახალი საკანონმდებლო ინიციატივები ქმნის დინამიკურ გარემოს, რომელიც მუდმივად საჭიროებს ყურადღებას და განახლებულ ინფორმაციას. შტატები უფლებამოსილია დააწესონ საკუთარი მინიმალური ხელფასი, მაგ. კალიფორნიაში მინიმალური ხელფასია საათში – $ 16.00, ჯორჯიაში – $ 5.15. საქართველოში მინიმალური ხელფასი 1990-იანი წლების შემდეგ უცვლელია და თვეში € 6.7 ევროს ეკვივალენტს შეადგენს. საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი კი შეადგენს 21700 ლარს. ეს არის ორიენტირი იმისთვის თუ საიდან უნდა გამოითვალოს კანონის დონეზე აყვანის შემთხვევაში მინიმალური ხელფასის პროცენტული მაჩვენებელი. საქართველოს პროფკავშირი აქტიურად მუშაობს მინიმალური ხელფასის დაწესებაზე და იმაზე, რომ მისი ზღვარი საქსტატის მიერ გაანგარიშებული საშუალო ხელფასის 40 % მაინც იყოს. თუმცა ბევრ ევროპულ ქვეყანაში მიღწეულ იქნა, რომ ის საშუალო ხელფასის 60 %-ს შეადგენს.

ამრიგად, ეკონომიკური პოლიტიკის ორიენტაცია ზემოთ აღნიშნული ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებაზე მიგვიყვანს ისეთ შედეგამდე, როგორიცაა შემოსავლების უთანასწორობის ხარისხის შემცირება, რომლის დროსაც მშპ და მასთან ერთად სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილება პროპორციულად პოვებს ასახვას საზოგადოების თითოეული წევრის ცხოვრების დონეზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Stiglitz, J. E., Sen, A., & Fitoussi, J.-P. (2009). Report by the Commission on the Measurement of Economic Performance and Social Progress
https://ec.europa.eu/eurostat/documents/8131721/8131772/Stiglitz-Sen-Fitoussi-Commission-report.pdf

2. Tax Policy Reforms 2024.
https://www.oecd.org/en/publications/tax-policy-reforms-2024_c3686f5e-en.html
3. Minimum wage as social policy instrument evidence from germany.pdf
https://www.cambridge.org/core/services/aop – cambridge-core /content/view/
4. TAX POLICY AND ITS FEATURES. The European Proceedings of Social and Behavioural Sciences EpSBS, 2022.
www.europeanproceedings.com e-ISSN: 2357-1330
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (Geostat)